საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 7 25 0000912698

გადაწყვეტილება

"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ

გადაწყვიტა:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571179 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდენაირად:

"4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად, რეკომენდებულია გაიზარდოს სავალდებულო საგნების მოცულობა და ძირითად საგნებს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს

სამართალი, შესავალი საქართველოს საგადასახადო სისტემაში და საგადასახადო აღრიცხვა, მონაცემთა და ფინანსური ანალიზი Excel -ის გამოყენებით.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
- სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, ბაზარზე მოთხოვნადი სასწავლო კურსების დამატება: შესავალი Python-ით პროგრამირებაში, Power BI-ის საფუძვლები, ასევე სტაჟირების კომპონენტის გადატანა ძირითად საგნებში, რაც გაზრდის პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას და დასაქმების მაჩვენებელს. სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები და ხელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
- სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
- სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები."

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №851523 ოქმის № 8 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24^1 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილების დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე